

თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს  
სოციალური, კულტურის, განათლების და ახალგაზრდულ საქმეთა  
კომისიის სხდომის

ოქმი N 7

ქ. თელავი

2018 წლის 17 აგვისტო

თავმჯდომარეობდა: კომისიის თავმჯდომარე ლევან კოჭლოშვილი

სხდომას ესწრებოდნენ კომისიის წევრები: გიგა მამაუკელაშვილი, იოსებ  
პარწიკანაშვილი, გიორგი ქიზიყელაშვილი, მიხეილ  
გრემელაშვილი, ბაადურ რევაზიშვილი.

სხდომას აგრეთვე ესწრებოდნენ: თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის  
უფროსი ტარიელ გალახვარიძე, თელავის მუნიციპალიტეტის  
მერიის, ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა  
სამსახურის უფროსი გიორგი ენუქიძე.

**დღის წესრიგი:**

1. თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 18 იანვრის №10 დადგენილებაში „თელავის მუნიციპალიტეტში განსახორციელებელი 2018 წლის ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა პროგრამის დამტკიცების შესახებ“ ცვლილების შეტანის თაობაზე პროექტის განხილვის შესახებ.

მომხს: ლ. კოჭლოშვილი

მოისმინეს: 1. თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 18 იანვრის №10 დადგენილებაში „თელავის მუნიციპალიტეტში განსახორციელებელი 2018 წლის ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა პროგრამის დამტკიცების შესახებ“ ცვლილების შეტანის თაობაზე პროექტის განხილვის შესახებ.

აზრი გამოთქვას: საკითხთან დაკავშირებით განმარტება გააკეთა მერიის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ სამსახურის უფროსმა. მან აღნიშნა, რომ დადგენილებაში ცვლილებები გამოწვეულ იქნა საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის იურიდიული დეპარტამენტის მიერ შემუშავებული რეკომენდაციის საფუძველზე.

გადაწყვიტეს: კომისიამ მიზანშეწონილად მიიჩნია თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 18 იანვრის №10 დადგენილებაში „თელავის მუნიციპალიტეტში განსახორციელებელი 2018 წლის ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა პროგრამის დამტკიცების შესახებ“ ცვლილების შეტანის თაობაზე პროექტი წარედგინოს საკრებულოს განსახილველად.

კომისიის თავმჯდომარე



ლევან კოჭლოშვილი